

ნონი

შ-04/176-17
07.04.17



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია იურიდიული საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 10-01170962870
ბატონის თარიღი: 06.04.2017

განმგებელი (დაინტერესებული) პირი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
მისამართი: ჯ.კახიძის ქ N 15

თქვენი 2017 წლის 24 მარტის N21/01170831289-01 (გ-04/152-17 22.03.2017) განცხადებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, 2017 წლის 29 მარტს გადმოგზავნილი N21/01170881502-01 (გ-04/151-17 22.03.2017) განცხადებების პასუხად, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელშეწყობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

ამასთან, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-89 დადგენილებით გარე ვაჭრობად ითვლება ქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა. ამასვე, დადგენილების თანახმად, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებში ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილები უნდა მოეწყოს ისე, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ქალაქის იერსახის მოთხოვნებს და არ შეაფერხონ ფეხით მოსიარულეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. ვაჭრობა უნდა განხორციელდეს მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების, სხვა ნორმებისა და წესების დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ არ არის დადგენილი ზემო აღნიშნული ნორმატიული აქტითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შედამხედველობის საქალაქო სამსახური „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის N1-2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახორციელებს გარე ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და მათ შესრულებაზე კონტროლს.

პატივისცემით,

იურიდიული საქალაქო სამსახური -
საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო
მმართველობის მხარდაჭერის
განყოფილება - განყოფილების უფროსი

ილია გელაშვილი